თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

16 სექტემბერი - 19 ოქტომბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო ახორციელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდება საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე, რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროზე, კავკასიაზე და მეცხრე არხზე (რომელმაც აგვისტოს ბოლოს მაუწყებლობა შეწყვიტა). ასევე, 16 სექტემბრიდან დაკვირვება ხდება პრაიმტაიმის დროს გასულ ყველა თოქ-შოუზე, რომლებიც პოლიტიკურ თემებს ეძღვნება. დაკვირვების ქვეშ მოხვდნენ შემდეგი არხები და თოქ-შოუები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი: „პირველი სტუდია“ - ეკა მიშველაძე;

რუსთავი 2: „არჩევანი“ - გიორგი გაბუნია, „პოზიცია“ - ნინო შუბლაძე;

იმედი: „პოლიტიკის დრო“ - თეა სიჭინავა, „ღია ეთერი“ - ვახო სანაია;

მაესტრო: „სუბეიქტური აზრი“ - დიანა ტრაპაიძე და თეონა გეგელია, „პოლიტმეტრი“ - ნინო ჟიჟილაშვილი, „არგუმენტები“ – ნინო თოლორდავა;

კავკასია: „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ნინო ჯანგირაშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი, „ცხელი ხაზი“ - ალექსანდრე ელისაშვილი და მასთან ერთად გადაცემას მორიგეობით უძღვებიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი;

ტვ3: „დიდი პოლიტიკა“ - ინგა გრიგოლია;

ტაბულა: „ფოკუსი“ - მონაცვლეობით უძღვებიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქ-შოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ ნაწილს. მონიტორინგის დროს ხდება დაკვირვება ჟურნალისტებზე სხვადასხვა კომპონენტების მიხედვით. ფასდება ჟურნალისტების როლი და ჩართულობა გადაცემის განმავლობაში. ჟურნალისტი უბრალოდ მოდერატორია, რომელიც მართავს პროცესს, თუ ცდილობს თავისი პოზიციის დაფიქსირებას. რამდენად აცდის თოქ-შოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე, ხდება დაკვირვება, თუ რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ და რამდენად ცდილობს ის სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას ჩაძიების გზით. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქ-შოუებში სიძულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას წამყვანების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მოცემული ანგარიში მოიცავს თოქ-შოუების მედია მონიტორინგის შედეგებს 16 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე 1 ოქტომბრიდან ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს 9 საათზე გადის პოლიტიკური თოქ-შოუ **„პირველი სტუდია“**, რომლის წამყვანია ეკა მიშველაძე. თოქ-შოუში მოწვეული სტუმრები წარმოადგენენ ხელისუფლებას, ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს, მედიას და განიხილავენ ქვეყანაში მიმდინარე ძირითად პოლიტიკურ მოვლენებს. აღსანიშნავია, რომ „პირველ სტუდიაში“ აქტიურად იწვევენ პრეზიდენტობის კანდიდატებს (თითქმის ყველა გადაცემაში) და მათ საშუალება აქვთ, გამოთქვან აზრი განხილულ საკითხებზე და ისაუბრონ საკუთარ პოლიტიკურ გეგმებზე.

1-დან 20 ოქტომბრამდე პერიოდში თოქ-შოუში განხილულ თემებს შორის იყო:

- საპრეზიდენტო არჩევნები და საპრეზიდენტო კანდიდატები,
- მცოცავი ოკუპაცია,
- ჯიჰადის ვიდეოების საქმე,
- დაპირისპირება ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოს შორის,
- სოჭის ოლიმპიადა,
- ციხეებში არსებული მდგომარეობა,
- სოციალური და ჯანდაცვის პოლიტიკა ქვეყანაში,
- პრემიერმინისტრის შეხვედრა მედიასთან და სხვა.

მთლიანობაში გადაცემა საკმაოდ ინფორმაციულია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საპრეზიდენტო კანდიდატების მონაწილეობა, რომლებიც სხვა თოქ-შოუებში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. მათ აქვთ საშუალება, ისაუბრონ საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებებზე და გამოხატონ აზრი ქვეყნისთვის აქტუალურ საკითხებზე.

წამყვანი ჩართულია გადაცემის პროცესში, სვამს კითხვებს და საშუალებას აძლევს სტუმრებს, ბოლომდე გამოხატონ საკუთარი პოზიცია. აწყვეტინებს მხოლოდ მაშინ, თუ ჩაძიება და ინფორმაციის დაზუსტება სურს. თუმცა, მისი კითხვები ნაკლებად მომთხოვნია და ხშირად უფრო ზოგადი ხასიათისაა. თუ წამყვანი ცდილობს რომელიმე სტუმრისთვის ოპონირების გაწევას, უფრო აქტიური ხდება. ხშირად მოჰყავს არგუმენტები, რომლებიც სტუმრების ოპონენტების პოზიციას გამოხატავს. თუმცა, ოპონირებას ყოველთვის არ ახდენს და მისი გადაცემა უმეტესად საკმაოდ მშვიდია.

ჟურნალისტი ძირითადად მოდერატორია. სტუმრებს თანაბარ პოზიციაში აყენებს და არც სტუმრებთან დამოკიდებულებაში და არც მის კითხვებსა თუ კომენტარებში არ ვლინდება მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ. წამყვანი არ იყენებს სიძულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს.

რუსთავი 2

რუსთავი 2-ზე 16 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე პერიოდში გადიოდა ორი პოლიტიკური თოქ-შოუ: „პოზიცია“ ყოველ პარასკევს საღამოს 10 საათზე (წამყვანი: ნინო შუბლაძე) და „არჩევანი“ (წამყვანი: გიორგი გაბუნია) ყოველ სამშაბათს 9-საათიანი „კურიერის“ დასრულების შემდეგ. ორივე თოქ-შოუ საკმაოდ საინტერესო და ინფორმაციულია, სადაც განიხილება კვირის მნიშვნელოვანი მოვლენები.

მონიტორინგის პერიოდში თოქ-შოუში **„პოზიცია“** განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თემები, მათ შორის:

- მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი ფორმები,
- საარჩევნო გარემო და საპრეზიდენტო არჩევნები,
- უმრავლესობა - მისი პრობლემები და გეგმები
- უშიშროების საბჭოს ჩაშლილი სხდომა,
- მავთულხლართების პოლიტიკა: დიცში განვითარებული მოვლენები და აბაშიძე-კარასინის შეხვედრა,
- საკანონმდებლო ცვლილებები,
- სკანდალური კადრები ბაჩო ახალაიას საკნიდან და სხვა.

სტუმრების მხრივ გადაცემა დაბალანსებულია, რადგანაც წარმოდგენილია რამდენიმე მხარე, განსხვავებული პოლიტიკური ძალები და არჩევნებში ჩაბმული პოლიტიკური პარტიებისა თუ მთავრობის წარმომადგენლები. ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატები არჩევნებამდე 2 დღით ადრე, 25 ოქტომბრის გადაცემაში იყვნენ წარმოდგენილნი. თუმცა, მოცემული ანგარიში მხოლოდ 20 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.

წამყვანი ნინო შუბლაძე საკმაოდ კრიტიკულ და აქტუალურ შეკითხვებს სვამს და ცდილობს ბოლომდე მიიღოს ინფორმაცია დასმულ კითხვაზე. დიალოგი სტუმართან ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს. წამყვანი ოპონირებას უწევს ყველა სტუმარს და ცდილობს, განსხვავებული აზრის წარმოდგენას. არ შეინიშნება მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ. სტუმრებსაც თანაბარ პირობებში აყენებს. თუმცა, 18 ოქტომბრის გადაცემაში, მაგალითად, როცა თოქ-შოუში ხუთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი იყო მოწვეული, კრიტიკა ყველაზე მეტად სახელისუფლებო პარტიას ხვდა წილად. წამყვანის მცდელობის მიუხედავად, რომ სტუმრების საუბარი დაერეგულირებინა, მანანა კობახიძემ მაინც ვერ მოახერხა საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირება.

თოქ-შოუ **„არჩევანის“** ძირითადი მიმართულება წინასაარჩევნოდ საპრეზიდენტო კანდიდატების წარმოდგენაა. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასულ გადაცემებში სტუმრად იყო თითქმის ყველა ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატი (მარგველაშვილი 22 ოქტომბრის გადაცემაში იყო, ამიტომ მოცემულ ანგარიშში არ მოხვდა). კანდიდატებთან მათ წინასაარჩევნო კამპანიაზე და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საუბრის გარდა, განიხილეს შემდეგი თემები:

- საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები,
- სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა,
- ჰუდონჰესის მშენებლობა და სხვა.

„არჩევანის“ წამყვანი გიორგი გაბუნია გამოირჩევა საკმაოდ მომთხოვნი და პირდაპირი კითხვებით. მისი ზოგადი დამოკიდებულება სტუმრების მიმართ არ იძლევა იმის საბაბს, რომ მიკერძოებულად ჩავთვალოთ. თუმცა, მის ჩაკითხვებსა და კომენტარებში ზოგჯერ იგრძნობა ირონია კონკრეტული სუბიექტების მიმართ. ასევე საინტერესოა, რომ, მაგალითად, კობა დავითაშვილის და გიორგი თარგამაძის სტუმრობისას წამყვანის კითხვებში აქცენტი უფრო მეტად უარყოფით ფაქტებზე კეთდებოდა. თუმცა, ყოფილი ხელისუფლების კანდიდატ ბაქრაძის სტუმრობისას დადებითმა კომენტარებმა და შეკითხვებმა გაიჟღერა. წამყვანმა რამდენჯერმე ამოიკითხა ჟურნალიდან „ეკონომისტი“ ბაქრაძის ინტერვიუს და ჟურნალისტის საკმაოდ დადებითი ციტატები. ამასთან, ის გადაცემა, რომელშიც დავით

ბაქრაძე სტუმრობდა, საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მაშინ როცა სხვა კანდიდატების შემთხვევაში ერთი საათი ან უფრო ნაკლები დროის განმავლობაში გრძელდებოდა თოქ-შოუ.

ასევე საინტერესოა მოკლე სიუჟეტები, რომლებიც წინ უძღვის საპრეზიდენტო კანდიდატების სტუმრობას. ეს სიუჟეტები ძირითადად წარმოადგენს კოლაჟს იმ განცხადებებისა თუ კადრებისა, სადაც ფიგურირებენ საპრეზიდენტო კანდიდატები. ეს კოლაჟები მეტ-ნაკლებად დადებითია ყველა კანდიდატის მიმართ. ზოგ შემთხვევაში შეინიშნება ირონია, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილის სტუმრობამდე გაშვებული კოლაჟი იწყება ზურაბიშვილის სიმღერით ერთ-ერთ მიტინგზე, რაც საკმაოდ ირონიულ პირველ შთაბეჭდილებას ქმნის. ნინო ბურჯანაძის შესახებ მომზადებული კოლაჟი საკმაოდ დადებითი იყო თავისი შინაარსით, მაგრამ ვერ შეედრება დავით ბაქრაძის შესახებ მომზადებულ კოლაჟს, რომლის ყოველი წამი ძალიან პოზიტიურია და ამაღლებულ განწყობას ქმნის.

იმედი

იმედზე მონიტორინგი აკვირდება ორ თოქ-შოუს: „ღია ეთერი“, რომელიც ვახო სანაიას მიჰყავს და „პოლიტიკის დრო“, რომელსაც თეა სიჭინავა უძღვება. „პოლიტიკის დრო“ ორშაბათს, „ღია ეთერი“ კი - პარასკევს გადის ეთერში.

მონიტორინგის ამ პერიოდში **„ღია ეთერში“** განხილული იყო საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები. ესენია:

- საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამა,
- ქართული კონტინგენტი ავღანეთში და საპრეზიდენტო არჩევნები,
- ზურაბ ჟვანიას საქმე,
- შიდა და საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხები,
- ოკუპაცია და საზღვრისპირა სოფლებში არსებული მდგომარეობა,
- გაეროში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა,
- საქართველოში ბიზნესის სფეროში ადრინდელი და ახლინდელი მდგომარეობა, სამართლიანობის აღდგენის კუთხით და სხვა.

გადაცემაში 16 სექტებრიდან 19 ოქტობრის ჩათვლით სტუმრად 3 საპრეზიდენტო კანდიდატი იყო: გიორგი მარგველაშვილი, სერგო ჯავახიძე და გიორგი თარგამაძე. გადაცემას ასევე სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სხვა სტუმრები იმ კონკრეტულ გადაცემაში განხილული თემის რელევანტურად იყვნენ მოწვეული.

შეიძლება ითქვას, რომ თოქ-შოუ არის საკმაოდ დაბალანსებული და მიუკერძოებელი. ჟურნალისტი უმეტესად ორიენტირებულია კრიტიკული კითხვების დასმაზე და მათზე ამომწურავი პასუხის მიღებაზე, მიუხედავად იმისა რესპონდენტი რომელი პოლიტიკური მხარის წარმომადგენელია. წამყვანი არ გამოირჩევა განსაკუთრებული ლოიალობით არც ერთი რესპონდენტის სასარგებლოდ, არ ჩანს მისი სიმპათიები ან ანტიპათიები რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ; უმეტეს შემთხვევაში არის მიუკერძოებელი და ნეიტრალური. სანაია ცდილობს სტუმრებს ოპონირება გაუწიოს და დამატებითი კითხვებით ჩაეძიოს უფრო კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად.

შეიძლება გამოიყოს გადაცემა, როდესაც სტუმრად მიხეილ სააკაშვილი იყო. ეს კონკრეტული თოქ-შოუ ცოტა განსხვავდებოდა სხვა გადაცემებისგან. შოუს დასაწყისში წამყვანმა სამი თემა დააანონსა: ოკუპაცია, პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა გაეროში და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა; თუმცა, რეალურად საუბარი ძირითადად ოკუპაციაზე იყო. ჟურნალისტი ხშირად ცდილობდა ჩაძიებას ან საუბრის თემის შეცვლას, თუმცა, უჭირდა სიტუაციის გაკონტროლება და პრეზიდენტი მაინც მისთვის სასურველ თემაზე საუბრობდა.

საერთო ჯამში, წამყვანისა და სტუმრების დიალოგი საკმაოდ კონსტრუქციული და მაქსიმალურად კორექტულია. სტუმრებს, ძირითადად, არ აწყვეტინებს საუბარს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სთხოვს დაასრულონ აზრი და სხვასაც აცადონ საუბარი; ან იმ შემთხვევაში, თუ სტუმრები გასცდებიან განსახილველ თემას.

თოქ-შოუში **„პოლიტიკის დრო“** 16 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მოწვეული იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წამორმადგენლები, მთავრობის წევრები, საპრეზიდენტო კანდიდატები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მონიტორინგის ამ პერიოდში გადაცემაში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მოწვეული იყვნენ ნინო ბურჯანაძე, კობა დავითაშვილი და ზურაბ ხარატიშვილი. გადაცემებში განხილული იყო შემდეგი თემები:

- სასჯელაღსრულების პოლიტიკა,
- საპრეზიდენტო კანდიდატების პოლიტიკური გეგმები,
- დვანის მოვლენები და ოკუპაცია,
- პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა,
- თომას ჰამერბერგის დასკვნა,
- NDI-ის საზოგადოებრივი კვლევის შედეგები,
- წინასაარჩევნო გარემო,
- სოჭის ოლიმპიადა და სხვა.

სიჭინავა საკმაოდ აქტიურადაა გადაცემაში ჩართული. თუმცა, ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც მას პოლიტიკური ფიგურები ჰყავს სტუმრად. მაგალითად, ნინო ბურჯანაძის (23 სექტემბერი) და ანდრო ბარნოვის (14 ოქტომბერი) სტუმრობისას ჟურნალისტი საკმაოდ აქტიური იყო, ხშირად კრიტიკულიც. სტუმრებს ოპონირებას უწევდა და უმეტესად დამატებით კითხვებს სვამდა ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

ამის საპირისპიროდ, როდესაც გადაცემაში მხოლოდ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ჰყავდა სტუმრად, სიჭინავა დიდად არ აქტიურობდა. მშვიდად სვამდა კითხვებს, ხანდახან მომთხოვნს და კონკრეტულს, თუმცა, ხშირად არ აწყვეტინებდა საუბარს და შეიძლება ითქვას, რომ სტუმრები ბევრად უფრო ლმობიერ გარემოში იყვნენ.

მონიტორიგის ამ პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემაში განხილული საკითხები გასცდა და არ დაემთხვა წინასწარ დააანონსებულ თემებს. მაგალითად, 7 ოქტომბრის გადაცემა, რომლის დააანონსებული თემა იყო „20 დღე არჩევნებამდე“ და თითქმის მთელი საუბარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას და ე.წ. გახმაურებულ „ციხის კადრებს“ დაეთმო.

მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგი უკეთდება 3 თოქ-შოუს: „არგუმენტები“ ნინო თოლორდავასთან ერთად, „სუბიექტური აზრი“ დიანა ტრაპაიძეს და თეონა გეგელიას ავტორობით და „პოლიტმეტრი“, რომელსაც ნინო ჟიჟილაშვილი უძღვება. სამივე თოქ-შოუ სამუშაო დღეებში გადის; „სუბიექტური აზრი“ ყოველდღე, „არგუმენტები“ სამშაბათსა და ხუთშაბათს და „პოლიტმეტრი“ - ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს.

„არგუმენტებში“ განხილული თემები ყოველთვის ემთხვევა მიმდინარე აქტუალურ საკითხებს. რაც შეეხება სტუმრებს, გადაცემაში ამ მხრივ ყოველთვის მრავალფეროვნებაა. სხვადასხვა თემის განსახილველად მოწვეული არიან რესპონდენტები როგორც საპარლამენტო უმრავლესობიდან, ასევე უმცირესობიდან; პრეზიდენტობის კანდიდატები, ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვები. გადაცემაში ყოველთვის წარმოდგენილია სხვადასხვა მხარე და იმართება დებატები, რაც გადაცემას მაყურებლისთვის მთლიანობაში უფრო საინტერესოს და ინფორმაციულს ხდის.

15 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით გასულ გადაცემებში შემდეგი თემები განიხილეს:

- NDI-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა,
- ივანიშვილის შეხვედრა ექსპერტებთან და მედიის წარმომადგელნებთან,
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, მცოცავი ოკუპაცია და სოჭის ოლიმპიადა,

- ჯიჰადის სახელით გავრცელებული ვიდეოები,
- საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები,
- შესრულებული და შეუსრულებელი დაპირებები ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ,
- ვინ შეცვლის ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტზე,
- სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები და კამპანიები და სხვა.

ამ პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მოწვეული იყვნენ: აკაკი ასათიანი, ნესტან კირთაძე, კობა დავითაშვილი, გიორგი თარგამაძე და სერგო ჯავახიძე.

ნინო თოლორდავა საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. ყოველთვის აქტიურია და სვამს ბევრ კითხვას. თითქმის ყოველთვის ცდილობს, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს დასმული კითხვის ირგვლივ და საჭიროების შემთხვევაში ხშირად ჩაძიების გზით დამატებით კითხვებს უსვამს რესპონდენტებს; უპირისპირებს განსხვავებული პოზიციის მქონე სტუმრების მოსაზრებებს ერთმანეთს ან ცდილობს თავად გაუწიოს ოპონირება სტუმრებს და წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება, თუ სტუდიაში არ არის წარმოდგენილი სხვა მხარე. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანი მეტი კრიტიკულობით გამოირჩეოდა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მაშინ, როდესაც ახლანდელი მთავრობის წევრები უფრო ლოიალურ და მშვიდ გარემოში იყვნენ.

ამ კუთხით შეიძლება გამოიყოს 8 ოქტომბერს გასული გადაცემა, რომლის სტუმრები ზურაბ ჭიაბერაშვილი და ალექსი პეტრიაშვილი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნინო თოლორდავა საკმაოდ კრიტიკული იყო ზურაბ ჭიაბერაშვილის მიმართ, ხშირად არ აძლევდა მას აზრის დასრულების საშუალებას, ხშირად ერთვებოდა, დამატებით კითხვებს უსვამდა და დებატებში შედიოდა მასთან. ეს აღნიშნულ იქნა კიდეც თავად ზურაბ ჭიაბერაშვილის მხრიდან.

ჟურნალისტი არ იყენებს არაეთიკურ და სიძულვილის ენის შემცველ ფრაზეოლოგიას და ხშირად არც სტუმრების მხრიდან ფიქსირდება ასეთი შემთხვევები. თუმცა, იმ რამდენიმე შემთხვევის დროს, როდესაც სტუმრებმა არაეთიკურად მოიხსენიეს კონკრეტული პოლიტიკოსები, თოლორდავამ რამდენჯერმე მოუწოდა მათ კორექტულობისკენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი რეაგირება არ ჰქონია.

„სუბიექტური აზრი“ გამოირჩევა თემების მრავალფეროვნებით. თოქ-შოუს სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაცემის პირველი ნაწილი, სადაც სტუმრები არ არიან და მხოლოდ წამყვანები საუბრობენ, ხშირად უფრო მეტად „სახალისო ფაქტებისა“ და

არაპოლიტიზირებული თემების განხილვით გამოირჩევა. გადაცემის შემდეგ ნაწილებში სტუმრები სხვადასხვა სექტორიდან არიან მოწვეული: პოლიტიკოსები, სოციოლოგები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა.შ.

თოქ-შოუში განიხილეს შემდეგი თემები:

- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები,
- დებატები საზოგადოებრივ მაუწყებელზე,
- მოახლოებული არჩევნები,
- პრემიერ მინისტრის შეხვედრა სხვადასხვა მედიის წარმომადგენლებთან,
- საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები,
- „ქართული ოცნების“ მმართველობის ერთი წელი,
- მომავალი პრემიერ მინისტრი,
- დავით კეზერაშვილის დაკავება,
- საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე,
- ჯიჰადის ვიდეოს საქმე,
- NDI-ს პოლიტიკური კვლევის შედეგები და სხვა თემები.

მონიტორინგის ამ პერიოდში რამდენიმე გადაცემა საპრეზიდენტო არჩევნებსა და კანდიდატებს დაეთმო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტუდიაში სტუმრად მხოლოდ ერთი კანდიდატი, შალვა ნათელაშვილი, იყო მოწვეული; დანარჩენ შემთხვევაში ექსპერტები განიხილავდნენ სხვა კანდიდატების პროგრამებს. ასევე აღსანიშნავია, რომ გადაცემაში სტუმრებად უფრო მეტად მმართველი გუნდის, მთავრობის წარმომადგენლები ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები არიან მოწვეული. ყოფილი ხელისუფლების და უმცირესობის პარტიის წევრები ძალიან იშვიათად სტუმრობენ გადაცემას. შესაბამისად, ხშირად გადაცემას ბალანსი აკლია და ზოგიერთი თემა ცალხმრივად არის განხილული.

წამყავნები ძალიან აქტიურად არიან გადაცემაში ჩართული. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი თავის პირად მოსაზრებას აფიქსირებენ. ეს უმეტესად ხდება როგორც გადაცემის პირველ ნაწილში, სადაც მხოლოდ ჟურნალისტები საუბრობენ, ასევე თოქ-შოუს მსვლელობისასაც, როდესაც რესპონდენტები სხედან სტუდიაში. წამყვანები ხშირად გამოხატავენ ირონიულ დამოკიდებულებას სხვადასხვა სტუმრის ან თემის მიმართ, რაც არასერიოზულ ფონს უქმნის გადაცემას. მათი ასეთი დამოკიდებულება, როგორც ვერბალური ისე არავერბალური ენით გამოიხატება. ხშირია მათი მხრიდან სიცილი, ირონია, სხვადასხვა ჟესტები, შორისდებულები და ა.შ. თუმცა, ეს ხშირად სტუმრით და მისი დამოკიდებულებითაც არის განპირობებული. ზოგიერთი სტუმარი არ რეაგირებს ჟურნალისტების ამგვარ ქცევაზე და სერიოზულად განაგრძობს საუბარს, ზოგი კი მხარს უბამს მათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს ყოველთვის აქვთ საშუალება, ისაუბრონ და ბოლომდე დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება, ჟურნალისტები ხშირად აკეთებენ რეპლიკებს თავიანთი აზრის დასაფიქსირებლად. თუმცა, უმეტესად ოპონირებას არ უწევენ მათ. აღსანიშნავია, რომ წამყვანები საკმაოდ კრიტიკულები არიან სტუმრების მიმართ და მომთხოვნ კითხვებს სვამენ. თუმცა, მათი კრიტიკა და მომთხოვნი კითხვები უფრო მეტად მაშინ შეინიშნება, თუ მათი პოზიცია სტუმრისას არ ემთხვევა. თუმცა, საერთო ჯამში, პირველ და მეორე ბლოკში წარმოდგენილ სტუმრებს ხშირად სხვადასხვა პოზიცია აქვთ და საერთო ჯამში მაყურებელი განსხვავებულ მოსაზრებებს ისმენს, იმის მიუხედავად, რომ გადაცემას დებატების ფორმატი არ აქვს.

არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები წინასწარ დაანონსებულ თემას სცდებიან გადაცემის მსვლელობისას და სხვა თემის განხილვას იწყებენ. ხშირად ეს ხდება, როდესაც სტუმარი იწყებს სხვა საკითხზე საუბარს და წამყვანები არ აბრუნებენ მას გადაცემის მთავარ თემასთან.

„პოლიტმეტრი“ მოწვეული სტუმრების მხრივ ძალიან მრავალფეროვანია. ყოველთვის წარმოდგენილია ორი ან მეტი მხარე. გადაცემას სტუმრობენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და ა.შ. თოქ-შოუში განხილული თემებიც ყოველთვის იმ მომენტისთვის ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. 16 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში თოქ-შოუში შემდეგი თემები განიხილა:

- პრემიერის შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან,
- ნაციონალური მოძრაობის ყრილობა სპორტის სასახლეში,
- 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის თემა,
- მცოცავი ოკუპაცია,
- წინასაარჩევნო კამპანიები, გარემო და პრობლემები,
- ჰუდონჰესი,
- პრობლემები მედიაში,
- სამართლიანობის აღდგენა,
- რა იქნება არჩევნების შემდეგ,
- სასჯელაღსრულების სისტემა და სხვა.

მონიტორინგის ამ პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გადაცემას მხოლოდ ნინო ბურჯანაძე სტუმრობდა.

თოქ-შოუ არის საკმაოდ დაბალანსებული და ობიექტური. ნინო ჟიჟილაშვილი აქტიურადაა ჩართული გადაცემის პროცესში, ინტენსიურად სვამს კითხვებს და საშუალებას აძლევს სტუმრებს ბოლომდე გამოხატონ საკუთარი პოზიცია. არ შეიმჩნევა მისი მიკერძოება ან ტენდენციურობა რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. მიუხედავად სტუმრის პოლიტიკური მიკუთვნებისა, წამყვანის კითხვები უმეტესად მომთხოვნი და კრიტიკულია; ხშირად თავად უწევს სტუმრებს ოპონირებას.

თუმცა, გადაცემაში სტუმრებს შორის გამართული დისკუსიის დროს, ჟიჟილაშილი უფრო ნაკლებად ერთვება საუბარში და მოწინააღმდეგე მხარეებს აძლევს საშუალებას ერთმანეთს უპასუხონ. წამყვანი ცდილობს ოპონენტებმა მოისმინონ ერთმანეთის არგუმენტები და დააფიქსირონ საპირისპირო მოსაზრებები. გადაცემაში სტუმრები ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში არიან. ჟურნალისტი დროს თანაბრად ანაწილებს სტუმრებს შორის და მართავს სიტუაციას. თუ სტუმარი მთავარი თემიდან გადაუხვევს ან ზოგადად იწყებს საუბარს, ჟიჟილაშვილი მას კონკრეტულ კითხვასთან აბრუნებს და სთხოვს, რომ კონკრეტულად გასცეს დასმულ კითხვას პასუხი. თოქ-შოუს სტუმრები ყოველთვის წარმოადგენენ განსხვავებულ მხარეებს, შესაბამისად, განხილულ საკითხთან დაკავშირებით მაყურებელი იგებს თითქმის ყველა არსებულ მოსაზრებას.

სიძულვილის ენას ან არაკორექტულ გამონათქვამებს წამყვანი არ იყენებს და სტუმრის მხრიდან დაფიქსირებულ მსგავს საქციელზე თითქმის ყოველთვის რეაგირებს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ნინო ჟიჟილაშვილის დასმულ კითხვებში ირონია იგრძნობა რომელიმე პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ, რაც რიგ შემთხვევებში მისი სუბიექტური პოზიციის ან აზრის დაფიქსირებას ჰგავს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი ყოველთვის გადამოწმებულ ინფორმაციას ავრცელებს. ხშირად, სტუმრების მიერ ნათქვამ ფაქტებს აზუსტებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უსწორებს.

კავკასია

კავკასიაზე მონიტორინგი უკეთდება სამ თოქ-შოუს. ესენია: „სტუდია სპექტრი“, რომლის წამყვანია დავით აქუბარდია; „ბარიერი“, რომლის წამყვანები არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც ალექსანდრე ელისაშვილი უძღვება და მასთან ერთად მორიგეობით არიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი. „სტუდია სპექტრი“ ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადის, „ცხელი ხაზი“ კვირაში სამჯერ, „ბარიერი“ კი - კვირაში ორჯერ.

„სტუდია სპექტრში“ მოწვეული სტუმრები უმეტესად არიან ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, მედიის წარმომადგენლები და სხვა არაპოლიტიკური წარმომავლობის რესპონდენტები. რაც შეეხება, პოლიტიკურ სტუმრებს, მათგან თოქ-შოუში ხშირად არიან მთავრობის და უმრავლესობის წევრები და მხარდამჭერები, ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი ადამიანები. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები და მხარდამჭერები თითქმის არასოდეს სტუმრობდნენ გადაცემას. 16 სექტემბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან გადაცემაში მონაწილეობდნენ: გიორგი მარგველაშვილი, კობა დავითაშვილი, მიხეილ (გელა) სალუაშვილი და აკაკი ასათიანი. ამასთან, კობა დავითაშვილი ორჯერ სტუმრობდა გადაცემას - 23 სექტემბერს და 17 ოქტომბერს. რაც შეეხება განხილულ თემებს და საკითხებს, თოქ-შოუში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ფრაქციის შეხვედრა თბილისის მერთან,
- ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან,
- ჰუდონჰესი და მასთან დაკავშირებული მოვლენები,
- სოციოლოგიური კვლევები,
- დევნილების მდგომარეობა,
- ჯარი და მასთან დაკავშირებული პრობლემები,
- ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესში არსებული მდგომარეობა,
- საგარეო პოლიტიკა,
- ეთნიკური უმცირესობები,
- დვანი და საზღვრისპირა სოფლებში არსებული მდგომარეობა,
- პრობლემები განათლებაში,
- საპრეზიდენტო არჩევნები და კანდიდატების პროგრამები,
- სოჭის ოლიმპიადა,
- სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა,
- კოჰაბიტაციის 1 წელი,
- კინოსა და თეატრის ინსტიტუტის პრობლემები და სხვა.

თოქ-შოუ საკმაოდ ტენდენციურია. აქუბარდია ძალიან ხშირად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს და დამოკიდებულებას სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტი თითქმის ყველა გადაცემაში ღიად აფიქსირებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ყოფილი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მისამართით, ხოლო ახალ ხელისუფლებას და მთავრობას უმეტესად დადებით კონტექსტში მოიხსენიებს. თუმცა, მონიტორინგის ბოლო პერიოდში ხშირად აკრიტიკებდა კოალიცია ქართულ ოცნებასაც, რასაც, ძირითადად, რჩევებისა და რეკომენდაციების ფორმა ჰქონდა.

წამყვანი უმეტესად გადაცემის დასაწყისში არ ასახელებს განსახილველ თემას ან საკითხს. შესაბამისად, საუბარი მრავალ სხვადასხვა სფეროსა და თემას ეხება ისე, რომ გადაცემის დასრულებისას ხშირად ძნელია განისაზღვროს, რა იყო გადაცემის მთავარი თემა. ასევე უმეტეს შემთხვევებში არ ხდება სტუმრების სრულყოფილი გაცნობა მაყურებლისთვის. ჟურნალისტი ხანდახან სტუმარს მხოლოდ სახელითა და გვარით წარადგენს და არ აკონკრეტებს, რას წარმოადგენს კონკრეტული პიროვნება. ასევე, წამყვანი მათ ხშირად წარადგენს, როგორც „საყვარელი ადამიანი“, „ჩემი მეგობარი“ და ა.შ. მაგალითად: 14 ოქტომბერი, დავით აქუბარდია - *„მახარებს, რომ ამ ორშაბათს ჩემი ხშირი სტუმარი, ჩემი რამაზი, ძველი მეგობარი და, მე თუ მკითხავთ, ძალიან საინტერესო ადამიანი გახლავთ ჩვენი სტუმარი.“*

სტუმრები თითქმის ყოველთვის თანაბარ მდგომარეობაში არიან. თუმცა, მათ მიმართ აქუბარდიას დამოკიდებულება განსხვავდება იმის მიხედვით, ეთანხმება თუ არა წამყვანი მათ აზრს და პოზიციას. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი ხან ძალიან ჩართულია გადაცემაში და ცდილობს საპირისპირო დაუმტკიცოს სტუმარს, ხან კი ძალიან პასიურია და აძლევს რესპონდენტს საშუალებას დიდი ხნის განმავლობაში ისაუბროს თავისუფლად.

არის შემთხვევები როდესაც, წამყვანი აწყვეტინებს სტუმარს საუბარს იმისთვის, რომ საკუთარი აზრი დააფიქსიროს. ამასთან, სტუმრებთან საკმაოდ ფამილარულია და მიმართავს: დათო, გიო, კოკი და ა.შ. მაგალითად, 17 ოქტომბერს სტუმარ სოსო ცინცაძეს ასე მიმართა: *„ბიჭო, სოსო, დამამთავრებინე რაა.“*

გადაცემები უმეტესად მიმდინარეობს დიალოგის ფორმატში. ჟურნალისტი თითქმის არ სვამს კითხვებს. თუმცა, აქტიურად აფიქსირებს საკუთარ აზრს. ღიად საუბრობს საკუთარ სიმპათიებსა და ანტიპათიებზე. 19 ოქტომბერი, სტუმარი გიორგი მარგველაშვილი: *„პრინციპში რომ ვუკვირდები, კარგი კაცი შეარჩია ბიძომ შენი სახით. ბევრს კრიტიკობდნენ, მეც ბევრი არ მომწონს შენში, მაგრამ ჯამში რო ვუკვირდები, ყველას შენ ჯობიხარ.“*

დავით აქუბარდიასთვის აგრეთვე დამახასიათებელია არაეთიკური გამონათქვამებისა და სიძულვილის ენის ხშირი გამოყენება სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების, დაწესებულებების, ინსტიტუტების მიმართ. ჟურნალისტი ძალიან ხშირად მოიხსენიებს ყოფილ ხელისუფლებას და ნაციონალურ მოძრაობს „დებილებად“, „ჯოგად“, „ნაცისტებად“, „ქალაქის უთავო მამებად“, „ჭირად“ და ა.შ. მათ საქმიანობას კი უწოდებს „კრეტინობებს“, „ვირ-ეშმაკობებს“ და ა.შ. არის ირონიული. არ რეაგირებს სტუმრების მხრიდან გამოყენებულ არაეთიკურ და სიძულვილის ენაზე და ხშირად იცინის ასეთ გამოთქმებზე მათთან ერთად.

აქუბარდია არაკოლეგიალურია სხვა მედია საშუალებების მიმართ: 3 ოქტომბერი, სტუმარი სოსო ცინცაძე. ჟურნალისტი: *„მათქმევინე ერთ წამს, სულ შენ ნუ ლაპარაკობ. აი, ესეთ აუდიტორიასთან დაჯდომა არასწორი იყო [საუბარია პრემიერ-მინიტრისა და*

ჟურნალისტების შეხვედრაზე]. მაშინ გრადაცია გაეკეთებინა. ღმერთი რჯული, მართლა არა ვარ არავიზე დამოკიდებული ხო, ჩვენ ჟურნალისტებს ცალკე შეხვედროდა დავუშვათ, სხვა ჟურნალისტებს, ვინც ნაცისტების არის, ცალკე.“

აქუბარდია თითქმის ყველა გადაცემაში ყვება ამბებს, საუბრობს ფაქტებსა და ციფრებზე ისე, რომ არ უთითებს წყაროს, არ აკონკრეტებს საიდან ფლობს ამ ინფორმაციას და რაზე დაყრდნობით საუბრობს.

თოქ-შოუს **„ცხელი ხაზი“** სტუმრობენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოადგენლები, ექსპერტები და საზოგადოების სხვა წევრები. აღსანიშნავია, რომ გადაცემაში თითქმის არასოდეს არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები ან მათი მხარდამჭერები. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ჟურნალსიტები ხანდახან აღნიშნავენ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგნელები მათ გადაცემაში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. ამ პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან გადაცემას ნესტან კირთაძე, აკაკი ასათიანი, სერგო ჯავახიძე სტუმრობდნენ. ამასთან, სერგო ჯავახიძე გადაცემას ორჯერ სტუმრობდა, 30 სექტემბერსა და 16 ოქტომბერს. თოქ-შოუში განხილული თემები ეხება იმ მომენტისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს. მონიტორინგის ამ პერიოდში შემდეგი თემები განიხილეს:

- ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან,
- პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები,
- დედაქალაქის ბიუჯეტი და ხარჯვის მიზნობრიობა,
- წინასაარჩევნო გარემო,
- საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ალბათობა,
- კანდიდატების საპრეზიდენტი პროგრამა,
- NDI-ის კვლევის შედეგები,
- ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა,
- ჰუდონჰესის მშენებლობა,
- უწყებათა შორის კომისიის მუშაობა,
- მედიის თავისუფლების ხარისხი,
- საოკუპაციო ზოლთან განვითარებული მოვლენები დიცსა და დვანში,
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და პროტესტი სოჭის ოლიმპიადას და სხვა.

გადაცემას ალეკო ელისაშვილთან ერთად მორიგეობით უძღვებიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი. კვირაში ერთხელ ელისაშვილს ჰყავს თანაწამყვანი და მასთან ერთად მიჰყავს გადაცემა. ფორმატიდან გამომდინარე გადაცემაში რეკავენ მაყურებლები და გამოთქვამენ

საკუთარ შეხედულებას განხილულ თემასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში გადაცემაში მთავარ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები ფიქსირდება.

ჟურნალისტები ყოველთვის აქტიურად არიან ჩართული გადაცემაში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ გადაცემაში რომელიმე წამყვანი უფრო ჩართულია ვიდრე მისი კოლეგა. ხდება ისეც, რომ ჟურნალისტები იმდენად პასიურები არიან, რომ სტუმრებს ეძლევათ საშუალება ისაუბრონ დროის და თემის შეუზღუდავად. ჟურნალისტ ალეკო ელისაშვილისთვის დამახასიათებელია საკუთარი პოზიციის, საკმაოდ ხშირი, არაფორმალური ენით, ღიად დაფიქსირება, რაც ძირითადად მთავრობის დადებითად წარმოჩენასა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კრიტიკას ემსახურება. არის შემთხვევები, როდესაც ის მაყურებელს კარნახობს, ინტერაქტივის რომელი პასუხია „სწორი“.

ასევე, იყო შემთხვევა, როდესაც ალეკო ელისაშვილის მიერ პირდაპირ ეთერში გამოთქმული აზრი შეიძლება ძალადობისკენ მოწოდებად ჩაითვალოს. 9 ოქტომბერს, როდესაც საუბარი ეხებოდა დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებს, მან ასე დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ვახო ბაბუნაშვილის მიმართ, რომელიც მთავრობის პოზიციას აკრიტიკებდა და შედარებით პოზიტიურად იყო განწყობილი ყოფილი ხელისუფლების მიმართ: ალეკო ელისაშვილი: – *„თქვენი საქმის თქვენ იცით, რა ვქნა ახლა, მუსიკალური პროტესტის არ მწამს მე. როცა ვხედავ ავტომატიანი ტიპები ჩემ ქვეყანას ღობავენ, უნდა მიხვიდე და 9 გრამი დააჭედო ყურის ძირში ან შუბლში. თუ ამის თავი არ გაქვს, მე მუსიკის და იმის არ მჯერა.“*

ჟურნალისტები საკმაოდ ლმობიერები არიან სტუმრებთან. ამ კუთხით ალეკო ელისაშვილი გამოირჩევა. იგი არ სვამს მომთხოვნ და კრიტიკულ კითხვებს და არც დამატებითი კითხვებით ეძიება რესპონდენტებს ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. ძირითადად არ უწევს ოპონირებას რესპონდენტებს და ბოლომდე აცდის აზრის დამთავრებას.

ელისაშვილისგან განსხვავდებიან ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი. ისინი ყოველთვის მხოლოდ მოდერატორის როლს ასრულებენ, არ აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას და აქტიურად სვამენ კითხვებს განსხვავებული პოზიციიდან.

ალეკო ელისაშვილი ასევე გამოირჩევა არაეთიკური და ზოგჯერ სიძულვილის ენის გამოყენებით გადაცემის სხვა ჟურნალისტებისგან. იგი ხშირად იყენებს დამამცირებელ, არაეთიკურ და სალანძღავ სიტყვებს თავისი აზრის დაფიქსირების დროს. ასევე, არ რეაგირებს, როდესაც სტუმრები იყენებენ მსგავს ლექსიკას.

„ცხელ ხაზში“ იყო შემთხვევა, როდესაც გადაცემის დასაწყისში დაანონსებული იყო სტუმარი, რომელიც შემდეგ სტუდიაში არ ყოფილა და ამის შესახებ კომენტარი არ გაკეთებულა.

თოქ-შოუ **„ბარიერი“** ხან ნინო ჯანგირაშვილს, ხანაც ალეკო ელისაშვილს მიჰყავს. გადაცემაში რამდენიმე სტუმარი მონაწილეობს, სტუდიაში ასევე იმყოფება დამსწრე საზოგადოება, რომელიც ერთვება გადაცემაში. მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე თოქ-შოუ ხშირად დებატების ფორმატში მიმდინარეობს, იმართება ცხარე კამათიც, რასაც წამყვანები ყოველთვის ვერ არეგულირებენ. გადაცემის სტუმრებს შორის ჭარბობენ ექსპერტები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. თუმცა, გვხვდებიან სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიების წევრები, მხარდამჭერები და საპრეზიდენტო კანდიდატებიც, ოღონდ არა ის რამდენიმე ძირითადი კანდიდატი, რომლებსაც შედარებით მაღალი რეიტინგი აქვთ. სტუმრებს შორის ჭარბობენ ყოფილი ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანები.

მონიტორინგის პერიოდში, 16 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე, თოქ-შოუში განიხილეს შემდეგი საკითხები:

- თომას ჰამერბერგის ანგარიში და 17 მაისის მოვლენები,
- ჰუდონჰესის მშენებლობა,
- სასჯელაღსრულების სისტემა,
- ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ექსპერტებთან,
- საპრეზიდენტო კანდიდატები,
- „ქართული ოცნების“ ერთწლიანი მოღვაწეობის შედეგები,
- ჯიჰადის ვიდეოს საქმე,
- ნაციონალური მოძრაობის რებრედინგი და სხვა.

თოქ-შოუს წამყვანების ნინო ჯანგირაშვილისა და ალეკო ელისაშვილის ქცევა განსხვავებულია. ჯანგირაშვილი უფრო მეტადაა გადაცემაში ჩართული, ცდილობს მართოს სიტუაცია, მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება სტუმრებს და ჩაეძიოს დამატებითი ინფორმაციისთვის. ელისაშვილი კი უფრო ხშირად საკმაოდ პასიურია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სტუმრები ცხარედ კამათობენ, თუნდაც, არაკორექტულები იყვნენ, იგი უმეტესად არ ერევა და გვერდიდან აკვირდება მათ დისკუსიას. კითხვების მხრივ, ძალიან მომთხოვნი და მკაცრი კითხვებით არცერთი წამყვანი არ გამოირჩევა. თუმცა, ჯანგირაშვილის კითხვები უფრო მომთხოვნია და იგი მეტად ცდილობს დასმულ კითხვებზე პასუხის მიღებას, ვიდრე ელისაშვილი.

ორივე წამყვანის შემთხვევაში იგრძნობა მათი დამოკიდებულება, განსაკუთრებით, როცა გადაცემა პოლიტიკურ თემებს ეხება. ისინი მეტად ეწინააღმდეგებიან ყოფილი ხელისუფლებისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ ლოიალურად განწყობილ სტუმრებს და ნაკლებად - ახალი მთავრობისა და კოალიციის მხარდამჭერებს.

რაც შეეხება წამყვანების ენას, სიძულვილის ენის გამოყენება მათი მხრიდან არ ფიქსირდება. თუმცა, ალეკო ელისაშვილი ძალიან თავისუფალი ენით საუბრობს, ხშირად პოლიტიკურ სუბიექტებს სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებს. თუ სტუმრების მხრიდან ფიქსირდება არაკორექტული გამონათქვამები, ჯანგირაშვილი მეტად ცდილობს მათ შეჩერებას. თუმცა, 15 ოქტომბრის გადაცემაში, რომელიც ჰამერბერგის ანგარიშს, 17 მაისის მოვლენებსა და სექსუალურ უმცირესობებს ეხებოდა, ისმოდა სიძულვილის ენა, არა წამყვანის მხრიდან, მაგრამ კამათი საკმაოდ მწვავე იყო და წამყვანი ვერ ახერხებდა სიტუაციის გაკონტროლებას.

ტაბულა

ტაბულაზე დაკვირვება ხდება პოლიტიკურ თოქ-შოუზე „ფოკუსი“, რომლის წამყვანებიც მონაცვლეობით არიან სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი. გადაცემა 23 სექტემბრიდან გადის ეთერში ყოველ სამუშაო დღეს - 22:00 საათზე.

გადაცემაში მოწვეული არიან როგორც უმრავლესობის წევრები, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები; სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტის წევრები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იმის მიხედვით, თუ რა თემას ეხებოდა კონკრეტული გადაცემა. მონიტორინგის ამ პერიოდში საპრეზიდენტო კანდიდატებიდან გადაცემას სტუმრობდნენ მხოლოდ დავით ბაქრაძე და შალვა ნათელაშვილი. თოქ-შოუ შემდეგ თემებს შეეხო:

- NDI-ს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა,
- მცოცავი ოკუპაცია,
- პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ჟურნალისტებთან,
- ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა,
- სოჭის ოლიმპიადა და საქართველოს პოზიცია ამასთან დაკავშირებით,
- პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა ბიზნესმენებთან,
- თალიბანის სახელით გავრცელებული მუქარის ვიდეო,
- ქუთაისის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის საქმე,
- საპრეზიდენტო არჩევნების შესაძლო მეორე ტური და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემა ყოველთვის ეხმიანება იმ დღეს არსებულ აქტუალურ თემებს და სტუმრებიც ყოველთვის განხილული საკითხის რელევანტურად არიან მოწვეული. მხარეები ხშირად თანაბრად და დაბალანსებულად არიან წარმოდგენილი. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე თემის განხილვისას მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების ან

ახლანდელი უმცირესობის წევრები არიან მოწვეული, რის შედეგადაც საკითხი ცალმხრივად განიხილება. ასეთ შემთხვევებში წამყვანები ხშირად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების ან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა არ ისურვეს გადაცემაში მონაწილეობის მიღება.

სალომე უგულავა და ნინო მაჭარაშვილი ყოველთვის საკმაოდ აქტიურად არიან გადაცემაში ჩართული. თუმცა, ხშირად მათი ქცევა სტუმრების პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით განსხვავდება. მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემების მიხედვით შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები ყოფილი ხელისუფლების და მათ მიმართ კეთილგანწყობილი სტუმრების მიმართ უფრო მეტად ლოიალურები არიან, ხოლო ახლანდელი ხელისუფლებისა და უმრავლესობის წევრების მიმართ - კრიტიკული. ასეთი ტენდენცია კითხვების დასმაში, მათ ფორმულირებაში, ჩაძიებაში, ასევე, მიმიკებსა და არავერბალურ ჟესტებში ჩანს. წამყვანები ხელისუფლების წარმომადგნლებთან უფრო ხშირად შედიან პოლემიკაში და ეკამათებიან მათ. როცა, ყოფილი ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ რესპონდენტებს ეძლევათ საშუალება, მშვიდად ისაუბრონ და ბოლომდე დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, დროის განაწილების თვალსაზრისით, რომ პოლიტიკური წარმომავლობის მიუხედავად ჟურნალისტები სტუმრებს დროს თანაბრად უნაწილებენ და აძლევენ საშუალებას ისაუბრონ.

რაც შეეხება ჟურნალისტების მხრიდან საკუთარი აზრისა და პოზიციის დაფიქსირებას, „ფოკუსში“ ასეთი შემთხვევებიც დაფიქსირდა. წამყვანები ხანდახან არ მალავენ საკუთარ განწყობას უმცირესობის მიმართ და დაუფარავად ეთანხმებიან მათ მსჯელობის დროს. მათი დადებითი განწყობა ხშირად არის შესამჩნევი ყოფილი ხელისუფლების მიმართ.

მთლინობაში უნდა ითქვას, რომ გადაცემას აქვს ინფორმაციული ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჩანს და იგრძნობა ჟურნალისტების დამოკიდებულება ამა თუ იმ მხარის ან რესპონდენტის მიმართ, საერთო ჯამში წარმოდგენილი მაინც არის ყველა მხარე და მაყურებელს საშუალება ეძლევა მიიღოს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში განსხვავებული კუთხიდან ინფორმაცია.

ტვ3

თოქ-შოუ **„დიდი პოლიტიკა“,** ტვ3-ის ეთერში ყოველ სამუშაო დღეს, საღამოს 8 საათზე გადის, და მისი წამყვანია ინგა გრიგოლია (რამდენიმე გადაცემა წაიყვანა ნოდარ მელაძემ). თოქ-შოუში განიხილება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მთავარი მოვლენები. თოქ-შოუ ეთერში 23 სექტემბერს გავიდა და მას შემდეგ გადაცემას

სტუმრობდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები, მაღალი თანამდებობის პირები, ექსპერტები, მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. საინტერესოა, რომ არჩევნების თემა თოქ-შოუში საკმაოდ ხშირად განიხილება. თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდში, საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მხოლოდ სამი იყო გადაცემის სტუმარი: შალვა ნათელაშვილი, კობა დავითაშვილი და გიორგი თარგამაძე.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში განიხილეს ყველა ძირითადი მიმდინარე პოლიტიკური საკითხი, მათ შორის:

- საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები,
- საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები,
- სოჭის ოლიმპიადა - საქართველო-რუსეთის ურთიერთობები,
- ჰუდონჰესის მშენებლობის საკითხი,
- ლევან პირველის დაბრუნება და ლევან მამალაძის პოლიტიკური გეგმები,
- ლაფანყურის სპეცოპერაცია,
- ნაციონალური მოძრაობის ყრილობა სპორტის სასახლეში,
- ჯიჰადის საქმე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა გამოძიებები,
- ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამოძიება,
- 1 წელი ციხის სკანდალური კადრებიდან და ციხეში არსებული მდგომარეობა
- მცოცავი ოკუპაცია: აფხაზეთის და ოსეთის, დაკარგული ტერიტორიების აღდგენა,
- პრემიერის შეხვედრა ტელევიზიის და პრესის წარმომადგენლებთან
- არჩევნებამდე დარჩენილი 2 კვირა: პრეზიდენტობის კანდიდატები და სხვა.

მთლიანობაში გადაცემა საინტერესო, დინამიური და ინფორმაციულია. განხილულ საკითხთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრები ყოველთვის რელევანტურები არიან თემასთან და წამყვანის კითხვებისა და ჩაძიებების შედეგად მაყურებელს მიეწოდება განსხვავებული მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხზე. სტუმრები ხშირად მაღალი თანამდებობის პირები არიან: მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამინდელი და ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები.

სტუმრების მხრივ გადაცემა დაბალანსებულია და ყოველთვის ორივე მხარეა წარმოდგენილი. გამონაკლისი იყო გადაცემა ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებაზე (16 ოქტომბერს), სადაც არ იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებსაც გადაცემის სტუმრები ბრალს სდებდნენ პრემიერის სიკვდილში. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. მართალია გადაცემის განმავლობაში ჟურნალისტმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ის არ გამოხატავდა საკუთარ აზრს, არ ამტკიცებდა იმას, რომ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი

მოკლეს, არამედ უბრალოდ სვამდა კითხვებს, საერთო ჯამში გადაცემა მაინც ერთი მიმართულებით მიდიოდა და ჟვანიას მკვლელობაზე კეთდებოდა აქცენტი.

ზოგადად, ინგა გრიგოლია ცდილობს, ერთნაირად მომთხოვნი იყოს სტუმრებისადმი და გამოირჩევა საკმაოდ მწვავე კითხვებით. იგი ყოველთვის ეძიება სტუმრებს მეტი ინფორმაციის მისაღებად და თუ ვერ მიიღო პასუხი, კითხვას იმეორებს. ზოგჯერ გრიგოლია იმდენად ხშირად აწყვეტინებს სტუმარს საუბარს პატარა ჩაკითხვებით, რომ ის ვერ ასრულებს სათქმელს, როგორც, მაგალითად, ლევან პირველის შემთხვევაში 23 სექტემბრის გადაცემაში.

ძირითადად წამყვანი ცდილობს, თოქ-შოუს მოდერატორობით შემოიფარგლოს. თუმცა, რიგ საკითხებზე შეკითხვებიდან და კომენტარებიდან გამომდინარე, მისი პოზიციაც იკვეთება, რაც ყოფილი ხელისუფლების კრიტიკასთან არის დაკავშირებული. თოქ-შოუს წამყვანი სიძულვილის ენას და არაკორექტულ გამონათქვამებს არ იყენებს და სტუმრებსაც შენიშვნას აძლევს, თუ ისინი არაკორექტულად საუბრობენ.